თანამშრომლობის ხელშეკრულება
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციასა
და მის წევრ მუნიციპალიტეტს შორის

№ 03/53

ქ.თბილისი 7 თებერვალი 2011წ.

ერთი მხრივ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ასოციაციის პრეზიდენტის **მამუკა აბულაძის** სახით და მეორე მხრივ ასოციაციის წევრი **ონის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს თავმჯდომარის **შალვა ჯაფარიძის** სახით ვაფორმებთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ზოგადი დებულებები

1.1. თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციის (ტექსტში შემდგომ „ასოციაცია“) წესდების შესაბამისად განსაზღვრავს ასოციაციისა და ასოციაციაში გაერთიანებული თვითმმართველი ერთეულის **ონის მუნიციპალიტეტის** (ტექსტში შემდგომ „წევრი“) ურთიერთ მოვალეობებს და არეგულირებს ასოციაციისა და მისი წევრის საქმიანობას ორგანიზაციულ, საფინანსო და წესდებით განსაზღვრულ სხვა სფეროებში.

1.2. თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა ხელშეკრულების ორივე მხარისათვის.

1.3. მხარეები თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, საქართველოს კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებით და ასოციაციის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

1.4. თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუწყოს თვითმმართველი ერთეულების - ასოციაციის წევრების განვითარებას, უზრუნველყოს ასოციაციისა და მისი წევრების მონაწილეობა მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

II. მხარეების მოვალეობები

2.1. ხელშეკრულებით ასოციაცია ვალდებულებას იღებს:

ა) უზრუნველყოს ასოციაციის წევრის მონაწილეობა მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში; მიაწოდოს მათ ინფორმაცია მუნიციპალური პოლიტიკის სფეროში მიმდინარე მდგომარეობის შესახებ;

ბ) ასოციაციის წევრთან ერთად განსაზღვროს თვითმმართველობის განვითარების ძირითადი პრობლემები, დასახოს მათი გადაწყვეტის გზები, კოორდინაცია გაუწიოს სამოქალაქო ინიციატივებს;

გ) შეისწავლოს და მოახდინოს ასოციაციის წევრის გამოცდილების განზოგადება; პერიოდულად მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ასოციაციის წევრებს;

3.2. საწევროს გადახდა ხდება წელიწადში ერთხელ ყოველი წლის 1 ნოემბრამდე.

3.3. დადგენილ ვადაში საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრსა და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს შორის იდება შეთანხმება დავალიანების დაფარვის შესახებ. საწევროს გადაუხდელობა არის საფუძველი ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

3.4. ასოციაცია ვალდებულია ყოველწლიურად მიაწოდოს ინფორმაცია ასოციაციის წევრებს საწევროების ხარჯვის შესახებ.

IV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ასოციაციის წევრის დადგენილი წესით ასოციაციიდან გასვლამდე.

V. დასკვნითი დებულებები

5.1. თანამშრომლობის ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს მხოლოდ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.2. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი რჩება ასოციაციას, ხოლო მეორე ინახება ასოციაციის წევრთან.

5.3. მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
ქ. თბილისი. ნაფარეულის ქ.№9ა 0179;
ტელ 726734: 726735
ფაქსი 251526

საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
_____/მ.აბულაძე/	_____/შ. ჯაფარიძე/
„-7-“ „თებერვალი“ 2011 წ.	„-----“ „-----“ 2011 წ.
ბ.ა.	ბ.ა.